აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი

2021 წელი

გორი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და განვითარების ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს აკადემიის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში-პროგრამა) ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, განხორციე-ლების, შეფასებისა და დამტკიცების წესებს.
2. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის #542 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამების სტანდარტების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის, საქართველოს თავდაცვის სისტემაში დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტების და მათი გაცემის წესის" და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
3. აკადემიაში საგანმანათლებლო პროცესი რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებებით, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული რეგულაციები.
4. აკადემიის დამკვეთია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. შესაბამისად აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ი და მასში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე (პერსონალი, იუნკერები/მსმენელები/ კურსდამთავრებულები, დამსაქმებ-ლები, პროფესიული ასოციაციები) უზრუნველყოფენ ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას.

5. აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების ან/და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები (საქართველოს თავდაცვის ძალების შესაბამისი ქვედანაყოფები). ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა და ნატოს სტანდარტებთან თანხვედრა. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის დროს აკადემია უფლებამოსილია განიხილოს პროგრამ(ებ)ის განხორციელების მიზანშეწონილობა, რენტაბელობა, ოფიცერთა საფეხურებრივი განათლების სისტემა და ა.შ.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა.

1. აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა დამოკიდებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა საჭირო რაოდენობის მოთხოვნაზე, ვინაიდან ყველა კურსდამთავრებულის დასაქმება უზრუნველყოფილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.
2. იუნკერთა/მსმენელთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს აკადემიის რესურსებს და აკადემიის მიერ დადგენილ სათანადო ინდიკატორებს. აღნიშნული საკითხები გაწერილია დოკუმენტში: **„ სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა/მსმენელთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი.“**
3. საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე აკადემია ითვალისწინებს იუნკერთა/მსმენელთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, ასევე პროგრამის სპეციფიკას; აღნიშნული საკითხები გაწერილია დოკუმენტში: **„საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.“**
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასწავლო წლის დაწყებამდე ამტკიცებს მაგისტრატურაში/ბაკალავრიატში/ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლების მიმარ-

თულებაში/ენობრივი მომზადების სკოლაში მისაღებ მსმენელთა რაოდენობას;

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ანალიზი.

1. საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის ფაზაში ხდება არსებული მონაცემების გაანალიზება იმისთვის, რომ განისაზღვროს სამიზნე აუდიტორია, რა უნდა ისწავ-ლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის განმავლობაში, რა არის პროგრამის მიზანი, რა მოთხოვნები უნდა იქნას წაყენებული პროგრამისადმი, რა რესურსებია საჭირო პროგრამის განხორციელებისთვის და რა დონეს უნდა აკმაყოფილებდეს იუნკერი/მსმენელი კურსდამთავრებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის ფაზაში განსახორციელებელი საფეხურები:
   - გაანალიზდეს განათლების მიღებისათვის აუცილებელი საჭიროებები და მოთხოვნები;
   - განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი
   - პროგრამის კომპონენტები;
   - განისაზღვროს სწავლების ტიპი (კოგნიტური, აფექტური, ფსიქტომო-ტორული);
   - განისაზღვროს საჭირო სწავლების დონე;
   - დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები;
   - განისაზღვროს საწყისი ცოდნის დონე/საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობები (პრერეკვიზიტები);
   - გაანალიზდეს არსებული კურიკულუმი და მოხდეს ცვლილებების შეთავაზება;

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვა(დიზაინი).

1. აკადემიას აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) პროგრამებს და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას;

2. აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს პროგრამის კომპონენტების ერთობლი-

ობას, რომელიც მიმართულია კურსდამთავრებულთათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე, ეროვნული კვალიფიკა-ციების ჩარჩოს და დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) დონით, რაც აუცილებელია პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას;

4. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- იუნკერთა/მსმენელთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები;

5. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის(დიზაინის) ფაზა უზრუნველყოფს აკადემიის მისიის მხარდაჭერას. ამ ფაზაში უნდა განისაზღვროს სასურველი და საჭირო სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სწავლების სფერო და ტიპი, სწავლების დონე, პროგრამის კომპონენტებისმეცადინეობის გეგმების სწავლის შედეგები, საწყისი შეფასების გეგმა.

6. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის(დიზაინის) ფაზაში ხორციელდება შემდეგი საფეხურები:

- დამსაქმებლის მიერ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) წაყენებული მოთხოვნების/საჭიროებების მიხედვით პროგრამის შედეგების გადამუშავება;

- საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების სილაბუსებში სწავლის შედეგების განსაზღვრა;
- პროგრამის კომპონენტის ფორმატის განსაზღვრა;
- იუნკერის/მსმენელთა მიერ გამოვლენილი ქცევის სტანდარტის შემუშავება;
- ვალიდური შეფასების სისტემის შემუშავება: განისაზღვროს შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები;
- პროგრამის კომპონენტების და მეცადინეობების სტრუქტურის და თანმიმდევრობის განსაზღვრა;

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავება:

1. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების ფაზაში ხდება კურიკულუმისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შემუშავება, შესაბამისი შეფასების მექანიზმების შერჩევა, სასწავლო მასალების წარდგენა შიდა მიმოხილვისთვის, სასწავლო მასალის დამტკიცება, სასწავლო მასალის წარდგენა შესაბამისი აუდიტორიისთვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების პროცესს კოორდინირებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები (აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, სამხედრო ინსტრუქტორები, მასწავლებლები, იუნკერები, მსმენელები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები), შესაბამისი დარგის სპეციალისტები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართული არიან უცხოელი ექსპერტები (DEEP,CUBIC). უცხოელი ექსპერტების მიერ ხორციელდება გარე ექსპერტიზა/ბენჩმარკინგი და აღნიშნული დასკვნების გათვალისწინება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს ან/და არსებული პროგრამის მოდიფიცირებისას. საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უკეთებს პროგრამის პროექტის საჯარო განხილვას შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური პერსონალის, შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონე მოწვეული სპეციალისტების, მასწავლებლების/ინსტრუქტორების მონაწილეობით;

3. საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელს ევალება: იუნკერების/მსმენელების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, კონსულტაციის გაწევა იუნკერების/მსმენელთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, პროგრამის მონაწილე იუნკერების/მსმენელთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და სხვა.

მუხლი 6. ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი.

1. აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა, იუნკერთა/მსმენელთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი კომპონენტის პროგრამები (სილაბუსები);

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების შესაბამისად;
3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

ა) **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

ბ) **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/-ნაშრომის/აქტივობის სახით;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების (არანაკლებ 120 კრედიტი) არსებობა და თავისუფალი კომპონენტების გადანაწილება ხდება შემდეგი სახით.

ა) სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/მოდულები და თავისუფალი კომპონენტები; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს სამხედრო საქმის სასწავლო კურსები წარმოადგენს. ასევე საბაკალავრო პროგრამის შემადგენლობაში შედის თავისუფალი კრედიტი.

ბ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვება, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვ-რული პირობების და აკადემიაში არსებული რეგულაციების შესაბამისად;

გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მსმენელის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზედაც იგი შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტი-კული კომპონენტისგანაც;

ვ) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვება, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პირობებისა და აკადემიაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

8. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი. მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრა-მის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგან-

მანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული მსმენელები ვალდებული არიან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/ მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, იუნკერთა/მსმენელთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
2. აკადემიაში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) **(დანართი** 1) და სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია **(დანართი 2)** სარეკომენდაციო ფორმები.

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** - უნდა იყოს მითითებული პროგრამის სახელწოდება;
- **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.** მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი

კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა კრედიტებით:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) – პროგრამა მოიცავს **არანაკლებ 240 კრედიტს;** სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/მოდულები უნდა დაეთმოს არანაკლებ 120 კრედიტისა;

ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) – პროგრამა, მოიცავს **არანაკლებ 120 კრედიტს;**

გ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის **60-კრედიტიანი;**

დ) აკადემიაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამა მოიცავს **საშუალოდ 60 კრედიტს;**

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ან/და იუნკერის/მსმენელის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, **დასაშვებია იუნკერის/მსმენელის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები;**

ვ) **დაუშვებელია იუნკერის/მსმენელის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს;**

ზ) **კრედიტი** ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის

შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით;

თ) **სასწავლო კომპონენტი** უნდა იყოს ერთსემესტრიანი;

ი) **აკადემიაში 1 კრედიტის მოცულობაა 25 საათს.** ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება იუნკერის/მსმენელის სასწავლო საქმიანობას (იუნკერის/მსმენელის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კ) **სასწავლო კვირა** არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე იუნკერის/მსმენელის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქ-ტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;

ლ) **სემესტრი** არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/ გამოცდებზე იუნკერის/მსმენელის მიღწევის შეფასების პერიოდს.

მ) **კრედიტთა განაწილება** სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე იუნკერის/მსმენელის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს იუნკერის/მსმენელის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან/ინსტრუქტორებთან, მასწავლებლებთან ერთად იუნკერებიც/მსმენელებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას;

ნ) **კრედიტის გაანგარიშებისას** არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო;

ო) ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის უნდა მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

- **აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური**

მითითებული უნდა იყოს შესაბამისი აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური.

ა) ბაკალავრიატის პროგრამები - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური;

ბ) მაგისტრატურის პროგრამები - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური.

- **სწავლების ენა**

ა) მითითებული უნდა იყოს სწავლების ენა (ქართული);

ბ) აკადემიაში სწავლების ენა არის ქართული. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა/მოდულისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;

გ) უცხოურ ენაზე დასაშვებია პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება;

დ) პროგრამის, პროგრამის ცალკეული კომპონენტის ან მისი ნაწილის უცხოურ ენაზე განხორციელების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ამის შესახებ და მიეთითოს შესაბამისი ენა.

- **პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს აკადემიის მისიას, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, მიღწევადი და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული.

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება იუნკერის/მსმენელის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

- **სწავლის შედეგები**

ა) სწავლის შედეგები - პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად იუნკერის/მსმენელის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;

ბ) პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილი უნდა იყოს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს (არსებობის შემთხვევაში);

გ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერით განისაზღვრება შესაბამისი დონის მისაღწევი სწავლის შედეგები:

გ.ა) ცოდნა და გაცნობიერება;

გ.ბ) უნარი;

გ.გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;

დ) პროგრამის სწავლის შედეგები უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (აკადემიური უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე;

ე) სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში მიეთითება მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

- სწავლება-სწავლის მეთოდები

ა) სილაბუსებში დაკონკრეტებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ იუნკერისთვის/მსმენელისთვის ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
ბ) პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

- **იუნკერთა/მსმენელის ცოდნის შეფასების სისტემა**

ა) იუნკერთა/მსმენელთა ცოდნის შეფასება უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას და

მაგისტრატურის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის #542 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულების პროგრამების სტანდარტების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციას, საქართველოს თვდაცვის სისტემაში დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტები და მათი გაცემის წესს“, აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციას.

ბ) იუნკერის/მსმენელის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

გ) შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

დ) დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. იუნკერს/მსმენელს კრედიტი ენიჭება კომპონენტში „ო“ და „პ“ პუნქტებში მოყვანილი შეფასების სისტემის დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ე) შეფასების თითოეული ფორმა უნდა მოიცავდეს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც უნდა მოიცავდეს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები უნდა იზომებოდეს შეფასების კრიტერიუმებით.

ვ) შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის და გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში.

ზ) **შეფასების ფორმებია:** შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

თ) **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იუნკერის/მსმენელის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/-ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/ წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

ი) **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ);

კ) შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

ლ) შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს **მინიმალური კომპეტე-ნციის ზღვარი**. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაძლებელია შეფასების კომპონენტშიც იყოს განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსებში გაწერილი უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის.
მ) პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულ-დეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

ნ) სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფას-დეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იუნკერი/მსმენელი დაასრულებს მასზე

მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

ო) **შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს/მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ იუნკერის/მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და იუნკერის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

პ) **სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება შემდეგი სისტემით.**

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი,

რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ჟ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის ,,ო" პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით ან ამ მუხლის „პ" პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის ,,ო" პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით ან ამ მუხლის „პ" პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

რ) დასკვნით გამოცდაზე დაიშვება იუნკერი/მსმენელი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს კომპონენტის დაძლევისათვის გათვალისწინებული ქულა. აღნიშნულით დგინდება დასკვნით გამოცდაზე დაშვების მიზანშეწონილობა;

ს) შესაძლებელია დადგენილ იყოს **დასკვნით გამოცდაზე დაშვების დამატებითი პირობები.** მაგალითად, ცალკეული შუალედური კომპონენტის წარმატებით დაძლევა ან სხვა პირობის დაკმაყოფილება იყოს განსაზღვრული დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად;

- **დასაქმების სფეროები**

ა) დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სპეციფიკას და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს;

ბ) პროგრამის შემუშავების დროს მიმართულების ხელმძღვანელმა აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები,

რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- **სწავლის გაგრძელების საშუალება.**

უნდა მიეთითოს, თუ რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას. მითითებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის სპეციფიკა, კურსდამთავრებულის კომპეტენციები და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვ-ნები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ბიბლიოთეკა, ლაბორა-ტორია და სხვ. მატერიალური რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი**

მოყვანილ უნდა იქნეს ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, მასწავლებლებისა და სამხედრო ინსტრუქტორების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი**

მოყვანილ უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ აქტებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა – სასწავლო გეგმა**

ა) პროგრამის სტრუქტურაში ნაჩვენები უნდა იყოს თუ როგორ არის განაწილებული კრედიტები. სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს პროგრამის ყველა კომპონენტი

(ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი/მოდული) და მათი კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, დაშვების წინაპირობები;

ბ) პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური;

გ) სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი კომპონენტების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი კომპონენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

- **საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს დანართი 3, დანართი 4, დანართი 5, დანართი 6.**

მუხლი 8. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)

1. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

2. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოფდეს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პროგრამის აღწერილობას/კურიკულუმს თან უნდა დაერთოს სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსი.

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის პროცედურა

1. პროგრამა განიხილება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების, მასწავლებლების/ინსტრუქტორების მონაწილეობით. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით;

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განხილული პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რევიზიისთვის ;

3. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში პროგრამა უბრუნდება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს;

5. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს განიხილავს პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება ხდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელება.

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფაზა მოიცავს უშუალოდ სწავლების

პროცესს და აქცენტს აკეთებს შემუშავების ეტაპზე განსაზღვრული კომპონენტების .

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფაზისთვის აუცილებელი საფეხურებია:

- სასწავლო პროცესის დაწყებამდე ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები აკადემიური/ მოწვეული პერსონალისთვის, მასწავლებლებისთვის და სამხედრო ინსტრუქტორე-ბისთვის;
- სასწავლო პროცესის განხორციელება;
- იუნკერთა/მსმენელთა შეფასება და შეფასების შედეგების შეგროვება, გაანალიზება და პირველადი მიმოხილვა;
- დაინტერესებული პირების უკუკავშირით უზრუნველყოფა .

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე რეგულარულად ხორციელდება მუშაობა. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დამსაქმებელი (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო), კურსდამთავრებულები, იუნკერები, მსმენელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, უცხოელი ექსპერტები. პროგრამის დასრულების შემდგომ ტარდება შეფასება გარე ექსპერტების მიერ (DEEP, CUBIC, კიბერუსაფრთხოების ეროვნული ბიურო, წვრთნებისა და განათლების სარდლობა). ხორციელდება გარე ექსპერტიზა განხილვა და საჭიროებების შემთხვევაში ხდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათში შემავალი სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსების მოდიფიცირება/დახვეწა.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა/გაუქმება

1. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აკადემია ითვალისწინებს იუნკერთა/მსმენელთა კანონიერ ინტერესებს და იუნკერს/მსმენელს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს იუნკერების/მსმენელების წინასწარ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ;

3. აკადემია უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, რენტაბელობის და გაუქმების საკითხი;

4. აკადემიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოდიფიცირების გზით განათლების ერთი და იმავე საფეხურისა და მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/ სპეციალიზაციის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იძლეოდეს იუნკერების/მსმენელების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას;

5.აკადემიის შესაცვლელი/გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერს/მსმენელს უფლება აქვს: სწავლა გააგრძელოს აკადემიაში განათლების იმავე საფეხურის ანალოგიურ ან მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის (მაგისტრატურის შემთხვევაში) სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (აკადემიაში ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით.

6. აკადემია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ-რამის იუნკერებს/მსმენელებს გაუწევს კონსულტაციას თუ რომელი საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში იქნება შესაძლე-ბელი შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამით მიღებუ-ლი კრედიტე-ბის მაქსიმალური რაოდენობით აღიარება;

7. აკადემიაში შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერების/მსმენელების სწავლის გაგრძელების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს თითოეული იუნკერისათვის/მსმენელისათვის შესაბამისობების განსაზღვრას გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათ-ლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ სასწავლო კურსებს/მოდულებს და აკადემიის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. აკადემიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების მიზნით იუნკერებისათვის/მსმენელებისთვის (მათი თანხმობის შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნვე-ლყოფს

იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რაც მიენიჭებოდა იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა იუნკერის/მსმენელის ჩარიცხვა;

8. იუნკერის/მსმენელის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს აკადემია ითვალისწინებს ამ წესის მეორე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

9. იუნკერისთვის/მსმენელისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მეთაურის/ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის/მოდულისთვის სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების დროს იუნკერის/მსმენელის მიღწევების შეფასება ხორციელდება აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც შედგება მონაცემთა შეგროვებისა და მათი ანალიზისაგან, რათა განისაზღვროს კურსის ან პროგრამის ეფექტურობა და მნიშვნელობა. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეები არიან: იუნკერები/მსმენელები, საგანმანთლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, ინსტრუქტორები/პედაგოგები და გარე შემფასებლები.
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რეგულირდება დოკუმენტით: **„სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი“.**

მუხლი 15. ინსტრუქციის მიღების და გაუქმების უფლებამოსილება.

წინამდებარე ინსტრუქციას ამტკიცებს, ცვლის და აუქმებს აკადემიის აკადემიური

საბჭო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.

დოკუმენტს თან ერთვის შემდეგი დანართები:

დანართი 1. კურიკულუმის სარეკომენდაციო ფორმა;

დანართი 2. სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა;

დანართი 3. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

დანართი 4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა/კურიკულუმის რუკა;

დანართი 5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები;

დანართი 6. სწავლება-სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;